

# სასაღისო ზაფხული

1911/2

საქართველოს  
საბავშვო  
საბავშვო  
საბავშვო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 220.

კვირა, 30 იანვარი 1911 წ.

დამატების № 38



„ამხანაგები“ — სურათი შვენინგერისა.

## სატრფოს კუბოსთან

—:—

განთიადია... ნისლი კრთება დაობლდა მთვარე,  
სიო ყვავილებს ნამს უბერტყავს ტუჩზე ღიმილით,  
ღამის მგოსანმა გააღვიძა მიღამო—არე,—  
შენ კი კვლავ გძინავს, გძინავს, ტურფავ, ნეტარის ძილით.

\*\*

სეტყვავ! დასცხრილვ ჩემი ფრთები, დასკერ, მომკვეცე,  
ცხოველ-მყოფელო მზევ! ნუ მათბობ, დასკანი, გაცივდი,  
ჰამლეტის სევდავ! ცრემლი-ნაღველი გამიასკეცე,  
ყინულის ნაკეთო! მოსხლტი ნაპრალს, ცრემლად დასცივდი.

\*\*

მითხარ, შენს შემდეგ რად ვიცოცხლო? რისთვის და რაღა?—  
ნუ თუ იმიტომ, რომ შენს გულ-ცივ საფლავის ქვაზე  
ჩემი ოცნება, ჩემი ლოცვა ვაქციო მტვრად  
და ღრმად ამოვსკრა ზღვის გულ-მკერდზე შენი სინაზე?

\*\*

მითხარ, შენს მეტი ვინ გაიგებს, ჩემს უკვდავ ლექსებს?  
მითხარ, ცრემლები ციურ ჰანგად სად დავაგუბო?  
ჩემს სიმთა ბგერას, ჰანგს უსიტყვოს ვინ შეითვისებს?  
სად ვპოვო ბინა, სულის სარკვევ, სად ვპოვო კუბო?

\*\*


ჩვენ ზღვაზედა ვართ... ტალღას სძინავს... ტურფავ შენც  
გძინავს...

ვაი ჩემს თვალებს, ვაი ამ ძილს, ვაი ჩემს ნანას,  
ტალღა იღვიძებს გედის ხმაზე, ატოკებს ჩვენს ნავს,—  
შენ კი—ჰშორდები მგოსნის სივრცეს, მგოსნის ქვეყანას.  
ი. გრიშაშვილი.

# ჟა ნაკპრა ცეცხლი!

გუზგუზა ცეცხლი ჰქრებოდა,  
თანდათან იფერულებოდა,  
და ალიც უკანასკნელი  
ჰკრთებოდა, ნელა ჰქრებოდა.  
ობლად მობეჭტავ ნაკვერჩხალს  
ნაცარში მშვიდად ეძინა,  
სული ჰხდებოდა ციმციმით,  
გარს თეთრი ფერული ეფინა.  
თვალს ვადევნებდი მდუმარე  
მგზნებარე ცეცხლის ბრძოლასა,  
ველარ უძლებდა მის სითბო  
სიცივის მედგარ ქროლასა.  
მეხვივნენ შავი ფიქრები,  
ჩანგისგან დანატირები  
გულის სიბთ მოხვდნენ ქვითინით  
კრემლები დანაწვამები.  
ნუ თუ ეს გულის ტანჯვისგან  
ნელ-ნელა იყინებოდა,  
ნუ თუ მის სიღრმეს გრძნობები  
უსიტყვოდ იფერულებოდა?!  
და წრფელს ტრფობის აღს ნაღვივებს  
სევდისგან სული ჰხდებოდა,  
გულისა ზრახვა, სულის ბქე  
დაუტირებლად კვდებოდა!!..  
... და ცეცხლი ისევ ჰქრებოდა,  
თანდათან იფერულებოდა,  
მის ალი უკანასკნელი  
ჰკრთებოდა, ნელა ჰქრებოდა.  
გული ბოდმისგან კვდებოდა  
ჰგოდებდა, იკრემლებოდა,  
და წრფელი კრემლი მიმქრალ ცეცხლს  
ქვითინით თავს ეფრქვეოდა!  
... და ჩაჰქრა ცეცხლი მგზნებარე,  
გამეფდა ბნელი სამარე.  
სუსხმა, სიცივემ დამბერა  
ახალი სევდა, სიმწარე!!..

ა. სვანელი.



# მწუხრულ ჰანგზე

(სილუეტები)

I

სევდის სიმღერა

მახსოვს მე ჟამი, ჟამი უკუნითის შვებისა, როცა სული  
ცხლა სვანე ტანჯვის, გოდების ოცნების ფრთებით ბედნიე-

რების მთაზედ დანავარდობდა. ოხ! რა წარმატად ჰყვარდა  
მაშინ ველი. ტბის პირას მდგარი, ტბაზედ დახრილი ნაძვი  
ცაბდე აზიდულ ლერწამს ეხუტებოდა.

ორნი ვიყავით.

მის თვალეში იდგა აკვანი ოცნებისა.

მის სიმშვენიერეს ტყის მიონაც შენატროდა.

ორნი ვიყავით, ერთად ვისხედით, ნანას გვეტყოდა ხევში  
ნაკადი და კაეშნის დილა მწუხრის ნიაკი, ვით ფარვანა თავს  
გვევლებოდა.

მაგრამ ჟამი მიდის და ჟამში ნაშობი ჟამივე კვდება.

გაჰქრა ზმანება, ვით ღამის ბინდი, ვით მოჩვენება.

მოწყენით არის მთა ცხოვრებისა.

ოკეანის ჯურღმულში ვეძებ ოცნების ნამტვრევებს.

მზემან სცნო ჟამი დასავალისა თვისისა, დასდვა ბნელი  
და იქნა ღამე.

ბნელა სულშიაც. შავ ძაძებში გამოხვეულნი სასოების  
ხეზე შემსხდარან ყორნები, სულსა აცივებს მათ ფრთათა  
ბარტყენი და ასპიტივით შხამავს გულ-ღვაძლს მათი ჩხავი-  
ლი. ყორნები არიან სულის მესაიდუმლე, ყორნები არიან  
სულის მოჭირისუფლე.

გაჰქრა, წავიდა ის ჟამი, მაგრამ მოგონება კიდევ არ  
მომკვდარა, თუმცა კაეშნიანი და სევდიანი ეს მოგონება,  
და კრემლებს მაწვიმებს, მაგრამ მიყვარს მაინც, ვით ნაშთი  
ტრფობის და შვების დღეთა საფლავი.

როცა ტბაზე დაიხრებიან ხეთა ღანდები, როცა მოწყ-  
ენილი ცაც, თითქო შეეკრას ჩემთან კავშირი, სევდის ავ-  
გაროხს მოიხვევს და მწუხარედ ქვითინს მოჰყვება, როცა  
მიონა, ტურფა მიონა, ტყის ასული ერთხელ, რომ ჩვენ ბედ-  
ნიერებას შენატროდა მიმოზას დაუწყებს ქოჩრის ვარცხნას  
და ზღაპრების მბობას, მაშინ მე შორს სადღაც მესმის სევ-  
დის სიმღერა მგლოვიარე, რომელიც წააგავს იმ სიმღერას,  
რომელსაც ვანდე წამები შვებისა და ოკეანე კრემლებისა...  
მაგონდება ჟამი... ჟამი განვლილი, რომელიც აწი არ დაბ-  
რუნდება, როგორც არ დაბრუნდება ლიკლიკა ტალღა  
ზვირთებს რომ მისდევს, ვით ის ტალღა ის სიმღერაც  
არაფერს ამბობს, მაგრამ მიყვარს ის სიჩუმე, მიყვარს  
ის სიმღერა, ვით ნაშთი ტრფობისა და აკვანი ჩემი ტან-  
ჯვისა. კრემლები ჩუხჩუხს იწყებენ გალიის წიაღში და ოხ!  
ვით მინდა კრემლებში გადმოვღვარო ის მწუხარება სუ-  
ლისა, რომ სტანჯავს ჟუნდობლად მომინდებიან, ბედკრულს,  
ბედკრულნი მღერაინა“.

სამარის ხმაზედ ქვითინებს ჩანგი, მოსთქვამენ სიმები  
სატრფოს დაკარგულს, სიმშვენიერეს გაზაფხულისასა სვეტაკმა  
ზამთარმა თეთრი სულარა რომ გადააფარა და შავი სტუმ-  
რები, შავი ყორნები, სასოების ხეზედ მსხდომარენი ბანსა  
აძლევენ ჩხავილით.


გულსაკლავად ისმის სამარის ხმა ნაღვილიანი.


სევდიანი ღუღუნით მეხმაურება ფაზისი და ტლაშანით  
მიაგორებს ტალღებს.

მოწყენით სდგანან თოვლით ლესილნი კოლხიდის მთე-  
ბი, ალბად ჩემ ტანჯვას თანაუგრძობენ.

თქმულა, რომ ბუნების საკურთხეველის წინ მსხვერპლად  
სევდა მიიტანება და ყურში ისმის სულის სიმღერა ნაღვილი-  
ანი, ვით მოგონება წარსულ დღეებზედ, რომელიც არ დაბ-  
რუნდებიან.

ტ. ტაბიძე.





# სიცილიის კახილი

კნუტ ჰამსუნისა.

ჩემმა მეგობარმა, მწერალმა გ... მიამბო:

კოპენჰაგენის შიდა ნავთსადგურის გასწვრივ მდებარეობს ვესტაგოლდის ქუჩა—ახალი, ყრუ ბულვარი.

სახლები ამ ქუჩაზე, ისე, როგორც ფარნები, ძლიერ ცოტაა, გამვლელნიც თითქოს არა სჩანან, ზაფხულობითაც კი არავინ დასეირნობს ხოლმე იქა.

ჰო და ასე! სამიოდე დღის წინედ ამ ქუჩაზე შემემთხვა ერთი რამ, და სწორედ ამის შესახებ მსურს გიამბო.

ის იყო ორჯერ გავიარ-გამოვიარე ბულვარზე, როცა შევნიშნე, რომ მეორე მხრიდან ჩემსკენ მოდიოდა ვიღაცა მანდილოსანი. თუმცა ფარნები ანთებული იყო, მაგრამ მაინც ისე ბნელოდა, რომ იმისი სახე ვერ გავარჩიე. ალბად ღამის პეპელაა, — ვიფიქრე, — და გვერდით ავლა განვიზრახე.

გავიარე ბულვარი და ისევ შემოვტრიალდი, მობრუნდა ქალიც. ჩვენ ისევ შეგხვდით. ვიფიქრე: ალბად ვიღაცას უცდის, ვნახოთ ვის. კვლავ გვერდით ჩავუარე.

როცა მესამედ შეხვდით, ქუდს ხელი ვიტაცე და გავეხმაურე:

— საღამო მშვიდობისა! ხომ არავის ელით აქა?

შეკრთა.

- - არა... ჰო... ველი.

— არ შეიძლება გეახლოთ, სანამ მოვიდოდეს იგი, ვისაც უცდით?

— რატომ არა, შეიძლება!

მადლობა მითხრა. თუმცა, რასაკვირველია, იგი არავის ელის, გამოსულა მხოლოდ სასეირნოდ, რადგან აქ ძლიერ მყუდრო ადგილია.

გვერდ-გვერდ მივდიოდით და გარეშე რამეებზე ვმუსაიფობდით. ხელ-გაყრით სიარული შევთავაზე.

— ოჰ, არა!

მიპასუხა მან და უარის ნიშნად თავი გაიქნია.

გუნება შემეცვალა. გარესკნელ წყვილადში ვერ გავარჩიე მისი სახე. ასანთს მოვუკიდე და სანამ საათს დავხედავდი, ვცდილობდი იგიც გამენათებინა.

— ათის ნახევარია... დიახ, ათის ნახევარი, — წავიბუტბუტე.

თითქოს სიციფემ აიტანაო, იგი შეკრთა, ამით ვისარგებლე და მივმართე:

— შეგცივდათ, შეეუზვიოთ, სადმე და დავლიოთ რამე! აი, თუნდ ტივოლისა, ან ნაციონალურ კაფეში.

— არა. ეხლა არსად არ შემიძლიან შესვლა, — მიპასუხა.

მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ იგი სამგლოვიარო შავებში იყო. მე ბოდიში მოვიხადე, რომ ბნელაში ვერ გავარჩიე. მაგრამ ის ქცევა, რომლითაც მან ჩემი ბოდიში მიიღო, ნათლად ამბობდა, რომ იგი ჩვეულებრივი ღამის პეპელა არ იყო.

— მომეცით ხელი, — მივმართე, — ასე უფრო აბილად იქნებით.

მკლავი მკლავში გამიყარა და რამდენჯერმე გავიარ-გამოვიარე ბულვარზე. რომელი საათია?

— რომელი საათია? — ხშირად მკითხავდა ხოლმე.

— მეთერთმეზე დაიწყე, — მიუგე, — თქვენ სადა სცხოვრობთ?

— ძველ სამეფო ქუჩაზე.

ცოტა ხანს შევაჩერე.

— შეიძლება სახლამდ მივაცილოთ?

— ოჰ, არა! ეს მოუხებრელია, — მომიგო, — არა, არ შეიძლება! თქვენ, თქვენ ხომ ბერდის ქუჩაზე სცხოვრობთ?

— მერე თქვენ საიდან იცით? — გაკვირვებით დავეკითხე.

— გიცნობთ, — წყნარად მიპასუხა.

დუმილი. ხელის-ხელ გაყრით მივდიოდით განათებულ ქუჩებისკენ. იგი ძლიერ ჩქარა მიაბიჯებდა: მის გრძელ შავ რიდეს ფრიალი გაჰქონდა.

— ჩქარა წავიდეთ, თუ ღმერთი გწამთ! — შემეხვეწა.

ძველ სამეფო ქუჩაზე, სახლის შესავალთან, იგი შემოტრიალდა, თითქოს გაცილებისათვის მადლობის გადახდა უნდაო. კარი გავუღე, იგი წყნარად შევიდა, ჩემსკენ მობრუნდა, კარს ბეჭი ოდნავ ვკარი და მეც თან შევყვივი.

უეცრივ ხელი მსტაცა. ხმაც არ ამოგვიღია. მესამე სართულზე ავედით და გავჩერდით.

ჯერ გარე-კარი გააღო, მერე შიგნითა, ხელი მოჰკიდა და შემეყვანა.

შევედით ოთახში. სამარისებური სიჩუმე იყო, მხოლოდ კედლის საათი არღვევდა მყუდროებას.

ქალი ერთ წამს კარებთან შეჩერდა, მერე უცებ ხელი მომხვია და აკანკალებულმა გრძობით ტუჩებში მაკოცა.

— დაჯექით, — მითხრა მან, — ეხლავე სანთელს ავანთებ.

და ანთა.

დარცხენითა და თან ცნობის მოყვარებით ვათვალიერებდი იქაურობას. ოთახი დიდი იყო, საუცხოვოდ მორთული და მოკაზმული. ღია კარებში სხვა სადგომებიც მოჩანდნენ. ვერ გამეგო, ვინ იყო ეს არსება, რომელსაც ასე უცნაურად გავეცანი.

— რა მშვენიერებაა! თქვენ აქ სცხოვრობთ, არა? — შევეკითხე.

— დიად, ეს ჩვენი სახლია.

— თქვენი? როგორ, თქვენ მშობლებთან სცხოვრობთ? მან სიცილით მომიგო:

— მე კაი ხნის გათხოვილი ვარ. აი, ნახავთ! რიდეინი შლიაბა საჩქაროდ მოიხადა.

— აბა, უყურეთ!

სთქვა და თავდავიწყებით, გიჟურ ვნებით ალტყინებული კვლავ მომეხვია.

დიდი, უტკუო ბავშვი! ოც და სამის წლისა თუ იქნებოდა. მარჯვენა ხელზე საგვირგვინო ბეჭედი ჰქონდა, მართლაც რომ ქქრიანი უნდა ყოფილიყო.

ლამაზი?

ოჰ, არა! სახე მთლად ქორფლიანი ჰქონდა, წარბები თითქმის სულ არ ეტყობოდა, მაგრამ მთელი მისი არსება გიჟურ ვნებისაგან ღელავდა; ტუჩები კი, საოცნებო რამ ჰქონდა.

მინდოდა გამეგო მისი ვინაობა, სად, ან ვინ იყო მისი ქმარი, ვის ეკუთვნოდა ეს სახლი, მაგრამ დავაპირებდი თუ არა ტუჩების გახსნას, იგი კოცნით მიხშობდა ბაგეთ და ლაპარაკს მიკრძალავდა.

— მე ელენე მქვიან, — როგორც იყო მითხრა მან, — ვახშამს მიირთმევთ? აი, ახლავე დავუძახებ მსახურს, მაგრამ ამასობაში თქვენ ჩემს საწოლ ოთახში უნდა შეხვიდეთ.

ავასრულე, რაც მითხრა. საწოლი ოთახი ოდნავ იყო განათებული. ორი ლოგინი იდგა. ელენემ დარეკა და დვი-

ნო მოატანინა. გავიგონე, როცა მსახურმა დვინო მოიტანა და უკანვე გაბრუნდა. ერთ წამს შემდეგ ელენე ჩემთან შემოვიდა, კარებთან შეჩერდა. მე მისკენ გავსწიე, მან ოდნავ შეჭკივლა და შემომეგება.

ეს სწორედ სამის დღის წინად იყო.

— მერე რა მოხდა?

— დამაცა, ბევრი რამ მოხდა!

— როცა გამომეღვიძა, უკვე თენდებოდა, ფარდების ორსავე მხარეს სინათლე მოიპარებოდა. ელენესაც გაეღვიძა. მან დაღლილობისაგან ღრმად ამოიხვნეშა და ღიმილით შემომხედა. მისი ხელები თეთრი იყვნენ და რბილი, როგორც ხავერდი, მკერდი მოქნილი. მე რაღაც ვეჩურჩულებოდი, მაგრამ იგი უხმო და ნაზის კოცნით მიცავდა ბაგეთ.

თან და თან თენდებოდა.

ორ საათის შემდეგ მე უკვე ზეზე ვიყავი. ელენეც ადგა, ფეხთ ჩაიცვა და კაბა გაისწორა. აი, სწორედ ამ დროს განვიცადე ის, რაც დღემდე შიშის ქარივით მივლის ტანში, ვით საშინელი სიზმარი. პირის-საბანთან ვიდექი, ელენე რაღაცისათვის მეორე ოთახში გავიდა. სანამ კარი ღია იყო, მე უკვე დავინახე: გაღებულ ფანჯრებიდან საშინელი სიცივე შემოდინდა, ოთახის შუა გულს კი, გრძელ მაგიდაზე მიცვალებული ესვენა. მკვდარი კუბოშია—წვერ-ჭაღარა მოხუცი. გამხმარი მუხლები ისე მოსჩანან საფარველს ქვემოდან, როგორც სიბრაზისაგან შეკრული მუშტები, სახე, კი, სახე ყვითელია და შემაძრწუნებელი. ყველაფერს ამას დღის სინათლეს ვხედავ, პირს ვიბრუნებ და ვსდუმ.

როცა ელენე შემობრუნდა, უკვე მზად ვიყავ და წასვლას ვაპირებდი. ძლივს, ძლივს შევძელ სამაგიეროდ მისი კოცნა. ელენემაც ჩაიცვა და კიშკარამდე გამომაცილა. მე ერთი სიტყვითაც არა მიკითხავს-რა. როცა ძირს ჩამოველით, იგი გამოზიდულ კედელს ამოეფარა, რომ არავის დაენახა და ჩურჩულით მიტხრა!

— ნახვამდის!

— ხვალ?—კანკალით შევეკითხე.

— არა! ხვალ შეუძლებელია.

— რატომ?

— ჩუმად, ძვირფასო, ხვალ სატირალში მივდივარ ნათესავი მომიკვდა. ჰო და ასე! ახლა ხომ გიგე ყოველივე?..

— მაშ, ზეგ?

— კარგი, ზეგ. მე აქ გელოდები, კიშკართან. მშვიდობით!

მე წამოველ...

ვინ არის იგი? ვინ არის ან ის მიცვალებული? დმერთო! როგორ შეეკრა მუშტები, როგორ საშინელ ნაოქებად დაჭკეცოდა ტუჩის კუთხეები!

მაგრამ... ზეგ მომელის იგი. წავიდე, თუ არა?

ბერნიკის კაფესაკენ გავემართე, მოვიტხოვე საადრესო წიგნი და მოვსძებნე ძველი სამეფო ქუჩა: აი იმ სახლის ნომერი! ასე გავიგე ელენეს სახელი. ვიცადე, სანამ დღის გაზეთი მოვიდოდა, როცა მოიტანეს, გიჟვით მივევარი და სამგლოვიარო განცხადებანი ჩავათვალიერე; დიახ, აქ არის მისი განცხადებაც—პირველი, სხვა განცხადებთა გრძელ რიგში—მსხვილი ასოებით დაბეჭდილი: „ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, გჯშან გარდაიცვალა ჩემი ქმარი ნჰ წლისა“.

განცხადება გუშინდელი დღის რიცხვითაა დაბეჭდილი. დიდხანს ვზივარ და ვფიქრობ.

აი, სცხოვრობს კოლ-ქმარი, ქმარი ოც და ათი წლით უხნესია კოლზე, დიდ ხანს ავადმყოფობს და ბოლოს კიდევ კვდება.

ახალგაზდა ქვრივმა თავისუფლად ამოისუნთქა.

სიცოცხლე—გიჟურ ძლიერებით, მზიბლავი სიცოცხლე—უხმობს მას და იგიც მორჩილის ხშირ უპასუხებს: მოვდივარ!

იმავე საღამოს იგი ვესტავოლდის ბულვარისაკენ მიილტვის...

ელენე, ძვირფასო: ელენე—ზეგ!

ჭ. უმბაძე



ვის უხარიან კახეთის რკინის გზა ეხლა.



ვის გაუხარდება მერე.